ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი #6

ქ. ონი 8. 06. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გივი მეტრეველი.

სხდომას კომისიის 10 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნონა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდა აგრეთვე შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის" დირექტორი კახაბერ ჩიკვილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გარე განათების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

2. დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გარე განათების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გარე განათების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს გარე განათების კუთხით მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და ამ პრობლემების მოგვარების გზებზე. გ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ დასახლებული პუნქტების უმეტეს ნაწილში საჭიროა, გარე განათების არეალის გაზრდა და არსებულ სანათებს შორის დაშორების მანძილის შემცირება ორმოცდაათი მეტრიდან ოცდაათ-ორმოც მეტრამდე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ღამის საათებში მხედველობის სათანადო ხარისხი, ასევე, ახლით არის შესაცვლელი მოძველებული ელექტროგადამცემი სადენები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ავარიული გამორთვები.

კ. ჩიკვილაძემ უპასუხა კომისიის წევრების შეკითხვებს.

მოისმინეს: 2. დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

გ. მეტრეველმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 8 ივნისს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გარე განათების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

2.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მიმდინარე წელს გასულ წლებთან შედარებით ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გარე განათების ოპერირება-ექსპლუატაციის ხარისხი გაუმჯობესებულია. გარე განათებას მომსახურებას უწევს შ.პ.ს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“.

მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის სიგრძე 146 კმ-ია. გარე განათების ცალკეულ უბნებში ავარიული გამორთვები ძირითადად ხშირ შემთხვევებში გამოწვეულია

მოძველებული ელექტროსადენების მიზეზით. არსებული ელექტროსადენების 2/3 მოძველებულია და ვეღარ უძლებს მასზე მოსულ დატვირთვებს.

არსებული პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა, ჩატარდეს გარე განათების ძირითადი საშუალებების: სადენების, საყრდენებისა და სანათების სრული და კომპლექსური ინვენტარიზაცია ფიზიკური მდგომარეობის შესწავლისა და ზუსტი სტატისტიკური მონაცემების დასადგენად. ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს და მომზადდეს სამწლიანი გეგმა-გრაფიკი: საჭიროებების მიხედვით გარე განათების არეალის გაზრდის და მოძველებული გარე განათების ძირითადი საშუალებების ახლით შესაცვლელად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ღამის საათებში.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე